დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკის

სამინისტროს 1999 წლის 23 აგვისტოს

№63 ბრძანებით

ეკონომიკის მინისტრი ვ. პაპავა

რეგისტრირებულია 1999 წლის 6 სექტემბერს, №020.012.003.810

ინსტრუქცია სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ

ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს კანონის "სასაქონლო ნიშნების შესახებ" შესაბამისად და აწესრიგებს სასაქონლო ნიშანზე განაცხადის შედგენის, წარდგენის, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის პროცედურებს.

თავი I

ძირითადი ცნებები

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ა) კანონი – საქართველოს კანონი "სასაქონლო ნიშნების შესახებ";

ბ) "საქპატენტი" – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სამართლებრივად უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს;

გ) პარიზის კონვენცია – 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს და შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);

დ) მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი – 1989 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი;

ე) საერთაშორისო კლასიფიკატორი – 1957 წლის 15 ივნისს ნიცის შეთანხმებით მიღებული და ხელმოწერილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, ჟენევაში 1977 წლის 13 მაისს);

ვ) საქონლის ჩამონათვალი – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის საერთაშორისო კლასიფიკაციით დადგენილი საქონლის და/ან მომსახურების ნუსხა.

ზ) საქონელი – საქონელი და/ან მომსახურება.

თ) მოწმობა – კანონის შესაბამისად სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს;

ი) განაცხადი – მოწმობის გასაცემად აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება ამ ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

კ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს მოწმობას;

ლ) პრიორიტეტი – უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს განაცხადი მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით;

მ) საკონვენციო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

ნ) საგამოფენო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

ო) პატენტრწმუნებული – "საქპატენტში" რეგისტრირებული სამრეწველო საკუთრების სფეროში განმცხადებლის სახელით მოქმედი პირი;

პ) სააპელაციო პალატა – "საქპატენტთან" არსებული სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავების განხილვის ორგანო;

ჟ) გაერთიანება – მეწარმეთა ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც შექმნილია საქართველოს ან წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;

რ) სასაქონლო ნიშნების იდენტურობა – სასაქონლო ნიშნების დამთხვევა ყველა ელემენტით;

ს) სასაქონლო ნიშნების მსგავსება – სასაქონლო ნიშნებში ცალკეული ერთნაირი ან მსგავსი ელემენტების არსებობა, რის გამოც ჩნდება მათი აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

ტ) კოდი – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) სტანდარტით შთ.60 დადგენილი მონაცემთა იდენტიფიკაციის საერთაშორისო შეთანხმებით მიღებული სამნიშნა რიცხვითი კოდი;

უ) ქვეყნის კოდი – ისმო-ს სტანდარტით შთ.3 დადგენილი ქვეყნის, სამთავრობათშორისო და სხვა ორგანიზაციების დასახელების შესატყვისი ორნიშნა კოდი;

ფ) საერთაშორისო ბიურო – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო;

ქ) საერთაშორისო განაცხადი – მადრიდის შეთანხმების პროტოკოლით საერთაშორისო რეგისტრაციაზე წარდგენილი განაცხადი;

ღ) ბიულეტენი – სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი;

ყ) რეესტრი – სასაქონლო ნიშნების რეესტრი.

2. ზოგადი დებულებები

1. სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელსა და/ან მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა და/ან მომსახურებისაგან (შემდგომში – საქონელი).

2. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

3. სასაქონლო ნიშანი დაცულია "საქპატენტში" მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

4. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე პარიზის კონვენციის 6^{ბის} მუხლის შესაბამისად.

3. სიმბოლოები, რომლებიც სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება კანონის მე-4 და მე-5 მუხლის თანახმად

1. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც:

ა) არ შედის ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-2 პუქტის ჩამონათვალში;

ბ) შესაბამისი საქონლის მიმართ არ არის განმასხვავებელუნარიანი, რადგან შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან შეიძლება მიჩნეული იქნეს ასეთად; ან საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება; ან წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიმბოლოს ან ტერმინს, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია.

გ) შედგება მხოლოდ ერთი ისეთი ასოს ან ციფრისაგან, რომელსაც არა აქვს ორიგინალური გრაფიკული შესრულება;

დ) იდენტურია საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნისა, რომელიც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვეციის 6^{ბის} მუხლის შესაბამისად დაცულია

რეგისტრაციის გარეშე ან იმდენად მსგავსია ასეთი ნიშნისა, რომ ჩნდება აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს პუნქტი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

ე) შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლის შესახებ;

ვ) მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის გერბს, დროშას, ემბლემას, მათ სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას, საერთაშორისო ან სამთავრობათშორისო ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სასინჯ დამღას, ნიშანს (მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს), ბეჭედს, ორდენსა და მედალს, რომლებიც დაცულია პარიზის კონვენციის 6*ტერ* მუხლის შესაბამისად; საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს, ან წარმოადგენს მათ იმიტაციას. ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს ან მფლობელის ნებართვა;

ზ) შეიცავს საქართველოში ცნობილი პიროვნების სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს, პორტრეტს და არ არის წარმოდგენილი ამ პიროვნების ან მისი მემკვიდრეების თანხმობა მათი გამოყენების შესახებ, ხოლო თუ ისინი წარმოადგენენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას, – საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობა;

თ) შეიცავს საქართველოს ისტორიული ძეგლების დასახელებას ან გამოსახულებას და არ არის წარმოდგენილი მათი გამოყენების შესახებ საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვა;

ი) შეიცავს ისეთ საფირმო სახელწოდებას, რომელიც იწვევს აღრევას;

კ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს;

ლ) საქართველოში დაცული გეოგრაფიულ აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდეა მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

მ) საქართველოში დაცული სამრეწველო ნიმუშის იდენტურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს ამ სამრეწველო ნიმუშზე პატენტის მფლობელი;

ნ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს პუნქტი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

ო) იმავე საქონლის მიმართ რეგისტრირებული სხვა სასაქონლო ნიშნის იდენტურია;

პ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

ჟ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

2. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება ისეთი მოცულობითი ნიშანი, რომლის ფორმაც განპირობებულია მხოლოდ საქონლის თვისებებით ან აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად.

თავი II

სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ წარსადგენი განაცხადის შედგენა და შეტანა

4. განაცხადის შეტანა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის უშუალოდ განმცხადებელმა ან მისმა წარმომადგენელმა განაცხადი უნდა შეიტანოს "საქპატენტში".

2. უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მოქმედი საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე, "საქპატენტთან" ურთიერთობას წარმართავს მხოლოდ პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

5. განაცხადი

1. განაცხადი უნდა ეხებოდეს ერთ სასაქონლო ნიშანს.

2. განაცხადი უნდა შეივსოს ქართულ ენაზე, ნაბეჭდი სახით, განაცხადს უნდა ჰქონდეს ამ ინსტრუქციით დადგენილი ბლანკის სახე – ფორმა 1-ს (იხ. დანართი №1).

3. ბლანკის გრაფა 1 შეიცავს:

ა) განცხადებას წარდგენილი სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შესახებ და განმცხადებლის სრულ სახელს (სახელწოდებას) და იურიდიულ მისამართს (კოდი 731). თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – მის გვარს, სახელს, სრულ საფოსტო მისამართს ინდექსის მითითებით, ქვეყნის დასახელებას, რომლის მოქალაქეც არის იგი ან გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან აქვს მოქმედი საწარმო. თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, სრულ ოფიციალურ სახელწოდებას, რომელიც უნდა ემთხვეოდეს ამ დაწესებულების რეგისტრირებულ წესდებაში მითითებულს, ქვეყანას, სრულ საფოსტო მისამართს ინდექსის მითითებით;

ბ) თხოვნას პრიორიტეტის დადგენის შესახებ, რისთვისაც განმცხადებელმა "X"-ით (ჯვრით) უნდა მონიშნოს მოთხოვნილი პრიორიტეტის შესაბამისი უჯრა;

გ) ქვეყნის კოდს და შეტანის თარიღს (კოდი 220), რომელიც ივსება "საქპატენტის" მიერ.

4. ბლანკის გრაფა 2-ში მონაცემების შეტანა ხდება ადრინდელი პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში. კერძოდ, პირველი განაცხადის ნომერი (კოდი 310), პირველი განაცხადის შეტანის თარიღი (კოდი 320) და პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის (უწყების) კოდი (330) ივსება საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში. გამოფენაზე ჩვენების თარიღი მიეთითება საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში. საერთაშორისო განაცხადის ნომერი და საერთაშორისო რეგისტრაციით მოთხოვნილი პრიორიტეტი მიეთითება, თუ განმცხადებელი ითხოვს გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის გარდაქმნას ეროვნულ განაცხადად.

5. ბლანკის გრაფა 3-ში მიეთითება წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) სრული სახელი, თუ განაცხადი წარდგენილია წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) მიერ.

6. ბლანკის გრაფა 4-ში მიეთითება მიმოწერის მისამართი – (კოდი 750) – ადრესატის სრული სახელი ან დასახელება და მისამართი, ტელეფონის, ელექტრონული ფოსტისა და ფაქსის ნომერი. ადრესატი შეიძლება იყოს პატენტრწმუნებული, წარმომადგენელი ან განმცხადებელი. უკანასკნელის შემთხვევაში, თუ მისამართი ემთხვევა გრაფა 1-ში მითითებულ მისამართს, იგი უნდა განმეორდეს გრაფა 4-ში.

7. ბლანკის გრაფა 5-ში თავსდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულება (კოდი 540). სიმბოლოს გამოსახულება უნდა იყოს კარგი ხარისხის, მკაფიო, შესრულებული მაღალი ხარისხის ქაღალდზე და არ აღემატებოდეს 8სმX8სმ ზომას. თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლო მოცულობითია, მაშინ მისი გამოსახულების ხედი ისე უნდა შეირჩეს, რომ შეიქმნას მაქსიმალურად სრულყოფილი წარმოდგენა მასზე. თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილია ბგერითი სიმბოლო, მაშინ ამ გრაფაში უნდა მოთავსდეს ამ სიმბოლოს გრაფიკული გამოსახულება (მაგ. სანოტო ჩანაწერი).

8. ბლანკის გრაფა 6-ში (კოდი 571) შეიტანება სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი აღწერილობა, უცხო ენაზე ჩაწერილი სიტყვიერი სიმბოლოს შემთხვევაში – მისი ტრანსლიტერაცია, ტრანსკრიპცია და, თუ შესაძლებელია, მისი თარგმანი, გამოსახულებითი ან

მოცულობითი სიმბოლოების შემთხვევაში – მათი შემადგენელი გამოსახულებითი ელემენტების ჩამოთვლა და აღწერა.

9. ბლანკის გრაფა 7-ში ნიშნით – "X" (ჯვრით) უნდა მოინიშოს სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს სახეობის შესაბამისი უჯრა.

10. ბლანკის გრაფა 8 (კოდი 591) ივსება იმ შემთხვევაში, თუ გრაფა 5-ში მოთავსებული გამოსახულება ფერადია და მიეთითება ის ფერი ან ფერთა კომბინაცია, რომელიც წარმოადგენს დაცვის საგანს.

11. ბლანკის გრაფა 9-ში (კოდი 511) მიეთითება იმ საქონლისა და/ან მომსახურების ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება წარდგენილი სიმბოლოს რეგისტრაცია.

12. ბლანკის გრაფა 10-ში ნიშნით – "X" (ჯვრით) მოინიშნება განაცხადის შეტანისას თანმხლები საბუთის შესაბამისი უჯრა და მიეთითება თითოეული საბუთის ეგზემპლარებისა და თითოეულ ეგზემპლარში ფურცლების რაოდენობა.

13. ბლანკი უნდა იყოს ხელმოწერილი და ხელმოწერის დღით დათარიღებული განმცხადებლის, უფლებამოსილი პირის ან წარმომადგენლის მიერ და მიეთითოს ხელმომწერი პირის სრული სახელი.

6. განაცხადთან დაკავშირებული საბუთები

1. განაცხადის "საქპატენტში" შეტანისას ან შეტანიდან ერთი თვის ვადაში წარდგენილი უნდა იქნეს საბუთი:

ა) ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი შეტანილად აღარ ითვლება და განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება – ფორმა 10 (იხ. დანართი №2).

ბ) საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შესახებ, თუ მოითხოვება ასეთი პრიორიტეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში პრიორიტეტი დადგინდება განაცხადის "საქპატენტში" შეტანის თარიღით.

2. შეტყობინება საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შესახებ, რომლის თაობაზეც განმცხადებელმა უნდა აცნობოს "საქპატენტს" განაცხადის შეტანისას, ან შეტანიდან ერთი თვის ვადაში, და ამ მოთხოვნის უფლების დასადასტურებლად "საქპატენტში" განაცხადის შეტანიდან 3 თვის ვადაში უნდა წარადგინოს:

ა) საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში – პირველი განაცხადის მიმღები უწყების მიერ დამოწმებული პირველი განაცხადის ასლი;

ბ) საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში – ოფიციალური ან ოფიციალურად მიჩნეული გამოფენის ადმინისტრაციის ან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა გამოფენაზე ექსპონატის ჩვენების თარიღის მითითებით. ზემოთ აღნიშნული ვადის გაგრძელება დასაშვებია 1 თვით, თუ განმცხადებელი აღნიშნულ სამთვიან ვადაში შეიტანს თხოვნას "საქპატენტში" ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს, წინააღმდეგ შემთხვევაში განმცხადებელი კარგავს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებას და პრიორიტეტი დადგინდება "საქპატენტში" განაცხადის შეტანის თარიღით.

3. სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულების 10 ეგზემპლარი წარდგენილი უნდა იქნეს განაცხადის შეტანისას ან მისი შეტანიდან 1 თვის ვადაში. გამოსახულება უნდა იყოს მკაფიო, შესრულებული მაღალი ხარისხის ქაღალდზე და მისი ზომები არ უნდა აღემატებოდეს 8სმX8სმ. ეტიკეტის წარდგენის შემთხვევაში დასაშვებია 10-დან 8 ეგზემპლარის წარდგენა ნატურალურ ზომებში. თუ სარეგისტრაციო სიმბოლო მოცულობითია, წარდგენილი უნდა იქნეს მისი ორგანზომილებიანი გამოსახულების 10 ეგზემპლარი. ამასთან, ხედი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ქმნიდეს სიმბოლოზე მაქსიმალურად სრულ წარმოდგენას. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია სხვა ხედების წარდგენა. თუ სიმბოლო ბგერითია, მაშინ წარდგენილი უნდა იქნეს აუდიოჩანაწერი და მისი გრაფიკული გამოსახულების (სანოტო ჩანაწერი) 10 ეგზემპლარი.

4. თუ განაცხადი შეტანილია კოლექტიურ ნიშანზე, კოლექტიური ნიშნის დებულება წარდგენილი უნდა იქნეს განაცხადის შეტანისას ან შეტანიდან ერთი თვის ვადაში. კოლექტიური ნიშნის დებულება უნდა შეიცავდეს გაერთიანების სახელწოდებას, გაერთიანების წევრთა სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს, გაერთიანების მიზანს, კოლექტიური ნიშნით სარგებლობისა და მისი გამოყენების კონტროლის პირობებს, გაერთიანების წევრთა უფლება-მოვალეობებს კოლექტიურ ნიშანზე უფლებების დარღვევის შემთხვევაში, იმ საქონლის ჩამონათვალსა და ერთიან მახასიათებლებს ან საერთო მაჩვენებლებს, რომლისთვისაც განკუთვნილია კოლექტიური ნიშანი. თუ კოლექტიურ ნიშანზე განაცხადი შეტანილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, კოლექტიური ნიშნის დებულებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს სამართლებრივი აქტი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ.

5. მინდობილობა წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) უფლებამოსილების შესახებ "საქპატენტში" წარდგენილი უნდა იქნეს განაცხადის შეტანისას ან შეტანიდან ერთი თვის ვადაში. დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება ერთი თვით, თუ "საქპატენტში" განაცხადის შეტანიდან ერთი თვის ვადაში წარმომადგენელი შეიტანს თხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს. აღნიშნულ ვადებში მინდობილობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და განაცხადი განსახილველად არ მიიღება.

6. თუ საქონლის ჩამონათვალი არ ეტევა მისთვის გამოყოფილ გრაფა 9-ში (კოდი 511), იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს განაცხადის შეტანისას დანართის სახით.

7. გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-9 *ჭეინჭეის* მუხლის შესაბამისად ეროვნული განაცხადის შეტანისას ან შეტანიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს მიერ დამოწმებული საბუთი, რომლითაც დასტურდება, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებამდე ვრცელდებოდა

საქართველოზე, წინააღმდეგ შემთხვევაში პრიორიტეტი დადგინდება "საქპატენტში" განაცხადის შეტანის თარიღით.

8. ამ მუხლის 2, 4, 5, 6 და 7 პუნქტებით გათვალისწინებული და სხვა დამატებითი საბუთები შეიძლება წარდგენილი იქნეს უცხო ენაზე. უცხო ენაზე წარდგენილი საბუთის თარგმანი ქართულ ენაზე "საქპატენტს" უნდა ჩაბარდეს დედნის წარდგენის დღიდან ერთი თვის ვადაში. თარგმანის წარდგენის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთი თვით, თუ დედნის "საქპატენტში" წარდგენის დღიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელი "საქპატენტში" შეიტანს თხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი საბუთი მხედველობაში არ მიიღება.

7. შეტანის თარიღის დადგენა

1. განაცხადის შეტანის თარიღად ჩაითვლება "საქპატენტში" განაცხადის ჩაბარების დღე, თუ განაცხადი წარდგენილია ქართულ ენაზე ნაბეჭდი სახით ამ ინსტრუქციით დადგენილ ბლანკზე (ფორმა 1-ს), რომელიც აუცილებლად შეიცავს განმცხადებლის სრულ სახელსა (სახელწოდებას) და მისამართს, სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას, საქონლის ჩამონათვალს, წარმომადგენლის ვინაობასა და მისამართს, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ და ხელმოწერილია ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

2. თუ წარდგენილი განაცხადი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, "საქპატენტის" კანცელარია ავსებს ბლანკის პირველი გრაფის მონაცემებს: შეტანის თარიღსა (კოდი 220) და ქვეყნის კოდს, განაცხადს ანიჭებს საკანცელარიო ნომერს და გასცემს საკანცელარიო ცნობას განაცხადის შეტანის შესახებ – ფორმა 10-ს (იხ. დანართი №3), საკანცელარიო ნომრის, შეტანის თარიღისა და განაცხადით წარდგენილი მონაცემებისა და საბუთების მითითებით.

3. თუ წარდგენილი განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის ყველა მოთხოვნას (ე.ი. ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის,

მე-5, მე-6, მე-7, მე-11 და მე-13 პუნქტების მოთხოვნებს), განაცხადი შეტანილად არ ჩაითვლება, განაცხადის მასალები უბრუნდება წარმომდგენს და გაიცემა შესაბამისი ცნობა – ფორმა 11-ს (იხ. დანართი №4).

თავი III

განმცხადებლის ურთიერთობა "საქპატენტთან" და მისი უფლებები

8. წარმომადგენლის დანიშვნა

1. განაცხადის "საქპატენტში" წარდგენისას, ან მოგვიანებით, განმცხადებელს უფლება აქვს დანიშნოს წარმომადგენელი (პატენტრწმუნებული) მინდობილობის საფუძველზე. მინდობილობა შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

2. უცხოელი განმცხადებლისათვის, რომელსაც არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მოქმედი საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე, წარმომადგენელი უნდა იყოს მხოლოდ "საქპატენტში" რეგისტრირებული პატენტრწმუნებული. უცხოელი განმცხადებელი, "საქპატენტში" რეგისტრირებულ პატენტრწმუნებულზე მინდობილობას გასცემს უშუალოდ თვითონ ან სათანადო უფლებამოსილების მქონე რწმუნებულის მეშვეობით.

3. წარმომადგენელზე (პატენტრწმუნებულზე) გაცემული მინდობილობა უნდა შეიცავდეს:

ა) მარწმუნებლის სახელს (დასახელებას);

ბ) წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) უფლებამოსილების ფარგლებს;

გ) მინდობილობის შედგენის თარიღსა და ადგილს;

დ) მარწმუნებლის ხელმოწერას;

ე) მინდობილობის მოქმედების ვადას. თუ ვადა აღნიშნული არ არის, მინდობილობა ძალაშია მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

4. მინდობილობა ფორმდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის არის შედგენილი.

9. "საქპატენტთან" მიმოწერა

1. "საქპატენტთან" მიმოწერა ხორციელდება განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) მიერ, თითოეული განაცხადისათვის ცალ-ცალკე. თუ წერილი ეხება რამდენიმე განაცხადს, წარმოდგენილი უნდა იყოს წერილის იმავე რაოდენობის ასლი. განაცხადის შეტანის შემდეგ წარდგენილ ყველა მასალაში უნდა მიეთითოს საკანცელარიო ნომერი ან/და განაცხადის ნომერი და წარდგენილი მასალები ხელმოწერილი უნდა იყოს განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) მიერ. საკანცელარიო ან განაცხადის ნომრის მითითებისა და ხელმოწერის გარეშე წარდგენილი მასალა განსახილველად არ მიიღება.

2. განაცხადის შეტანის შემდეგ წარდგენილი მასალები "საქპატენტს" უნდა წარედგინოს კანონითა და ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ ვადებში.

10. განაცხადის მასალების შევსება, შეცვლა, შესწორება და დაზუსტება

1. განმცხადებელს უფლება აქვს წარდგენილი სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციამდე შეავსოს, შეცვალოს, შეასწოროს ან დააზუსტოს განაცხადის მასალა. ამასთან, სარეგისტრაციო სიმბოლოსა და საქონლის ჩამონათვალის ცვლილების შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ სარეგისტრაციო სიმბოლოს არაარსებითი ცვლილება და საქონლის ჩამონათვალის შემცირება. პრიორიტეტის დადგენის შემდეგ, განაცხადის მასალების შევსების, შეცვლის, შესწორების ან დაზუსტებისათვის გადახდილი უნდა იქნეს დადგენილი საფასური.

2. განაცხადის მასალების შევსება, შეცვლა, შესწორება და დაზუსტება ხორციელდება განმცხადებლის წერილობითი განცხადების საფუძველზე. თუ ცვლილება მოითხოვება

პრიორიტეტის დადგენის შემდეგ, განცხადებას თან ერთვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. თუ ამგვარი საბუთი არ იქნა წარდგენილი ან გადახდილი თანხა არ შეესაბამება დადგენილ საფასურს, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. ცვლილების შესახებ განცხადების განხილვის შედეგების შესახებ განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 9-ს (იხ. დანართი №11).

3. თუ ცვლილება ეხება სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას, რომელიც არსებითად არ ცვლის მას, მაშინ "საქპატენტს" წარედგინება შეცვლილი სასაქონლო ნიშნის გამოსახულება იმ რაოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით.

4. განმცხადებლის სახელის (სახელწოდების) ცვლილების შემთხვევაში წარედგინება ამ ცვლილების დამადასტურებელი საბუთი.

5. განმცხადებელს შეუძლია განაცხადზე უფლება გადასცეს სხვა პირს (უფლებამონაცვლეს) საქონლის მთლიანი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ. ასეთ შემთხვევაში "საქპატენტს" უნდა წარედგინოს განაცხადზე უფლების გადაცემის ხელშეკრულება ხელმოწერილი განმცხადებლისა და მისი უფლებამონაცვლის მიერ და უფლებამონაცვლის მიერ გაცემული მინდობილობა თუ საქმისწარმოება ხორციელდება წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) მეშვეობით. მინდობილობა "საქპატენტში" წარდგენილი უნდა იქნეს განაცხადზე უფლების გადაცემის ხელშეკრულების "საქპატენტში" წარდგენისას ან მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში. დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება 1 თვით, თუ ზემოთ აღნიშნულ ერთთვიან ვადაში წარმომადგენელი შეიტანს "საქპატენტში" თხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს. აღნიშნულ ვადებში მინდობილობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება..

6. განაცხადზე უფლებამონაცვლის უფლებები აღიძვრება უფლების გადაცემის ხელშეკრულების "საქპატენტში" ჩაბარების დღიდან. ამ დღიდან "საქპატენტი" მიმოწერას აწარმოებს ახალ განმცხადებელთან.

11. განაცხადის გაყოფა

თუ განაცხადი შეიცავს საქონლის ორ ან მეტ დასახელებას, განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს განაცხადის გაყოფა ორ ან მეტ განაცხადად თითოეულ გამოყოფილ განაცხადზე საქონლის გადანაწილებით. განცხადება განაცხადის გაყოფის შესახებ შეიტანება "საქპატენტში" წერილობითი ფორმით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთთან ერთად. გამოყოფილ განაცხადებს უნარჩუნდებათ პირველი განაცხადის შეტანის თარიღი.

12. განაცხადის მასალების გაცნობა

განმცხადებელს უფლება აქვს გაეცნოს განაცხადის განხილვისას გამოყენებულ მასალას და მოითხოვოს მისი ასლი.

13 განაცხადის განხილვის შეჩერება

1. განმცხადებელს შეუძლია შეაჩეროს საკუთარი განაცხადის განხილვა ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე არაუმეტეს 3 თვით. განმცხადებელს შეუძლია 3 თვის გადანაწილება ექსპერტიზის სხვადასხვა ეტაპზე.

2. თხოვნა განაცხადის განხილვის შეჩერების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთთან ერთად.

3. განაცხადის განხილვის შეჩერებაზე საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თხოვნა განაცხადზე საქმისწარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდება.

14. განაცხადის გამოთხოვა

1. განმცხადებელს უფლება აქვს გამოითხოვოს საკუთარი განაცხადი.

2. განცხადება განაცხადის გამოთხოვის შესახებ განმცხადებელს შეუძლია წარადგინოს "საქპატენტში" განაცხადის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, არაუგვიანეს მისი რეგისტრაციისა.

განაცხადი ჩაითვლება გამოთხოვილად ამგვარი განცხადების "საქპატენტში" ჩაბარების დღიდან. ამ შემთხვევაში განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 2-ს ან ფორმა 4-ს (იხ. დანართები №6 და №10).

3. გამოთხოვილ განაცხადზე ექსპერტიზის ჩატარება წყდება გამოთხოვის დღიდან. სხვა განაცხადებზე ექსპერტიზის ჩატარების დროს გამოთხოვილი განაცხადი მხედველობაში არ მიიღება.

4. თუ განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდა განმცხადებლის მოთხოვნით ან ამ ინსტრუქციით დადგენილი პროცედურული ვადების დაღვევის გამო, განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტიდან 6 თვის ვადაში განმცხადებელს უფლება აქვს აღადგინოს საქმისწარმოება განაცხადზე დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. ამ შემთხვევაში განაცხადის შეტანის თარიღად ჩაითვლება საქმისწარმოების აღდგენისათვის დადგენილი საფასურის გადახდის თარიღი.

თავი IV

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

15. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საგანი

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანიდან 2 თვის ვადაში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადით. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ეტაპზე ექსპერტი ამოწმებს:

ა) ეხება თუ არა განაცხადი ერთ სასაქონლო ნიშანს;

ბ) არის თუ არა განაცხადის ბლანკის გრაფა 2-ში შეტანილი იმ დოკუმენტების მონაცემები, რომლის საფუძველზეც მოითხოვება ადრინდელი პრიორიტეტი, ე.ი. საკონვენციო,

საგამოფენო ან გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მოთხოვნილი პრიორიტეტი; წარმოდგენილია თუ არა, შესაბამისად, პირველი განაცხადის მიმღები უწყების მიერ დამოწმებული პირველი განაცხადის ასლი, ოფიციალური ან ოფიციალურად მიჩნეული საერთაშორისო გამოფენის ადმინისტრაციის ან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა გამოფენაზე ექსპონატის ჩვენების თარიღის მითითებით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს მიერ დამოწმებული საბუთი, რომლითაც დასტურდება, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებამდე ვრცელდებოდა საქართველოზე; არის თუ არა აღნიშნული დოკუმენტები გაფორმებული დადგენილი წესით და მოხდა თუ არა მათი წარდგენა "საქპატენტში" ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-7 პუნქტითა და კანონის მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით და 44-ე მუხლით დადგენილ ვადაში;

გ) შეესაბამება თუ არა განაცხადში მითითებული ფერი ან ფერთა კომბინაცია წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულებას;

დ) აკმაყოფილებს თუ არა სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულების ეგზემპლარები ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს;

ე) არის თუ არა წარდგენილი კოლექტიური ნიშნის დებულება, როდესაც მოითხოვება კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია და აკმაყოფილებს თუ არა ეს დებულება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-4 მუხლის მოთხოვნებს;

ვ) არის თუ არა წარდგენილი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული მინდობილობა, როდესაც განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) მიერ და აკმაყოფილებს თუ არა იგი ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს;

ზ) არის თუ არა წარდგენილი სარეგისტრაციო სიმბოლოს აღწერილობა;

თ) სწორად არის თუ არა კლასიფიცირებული საქონლის ჩამონათვალი საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით;

ი) შეესაბამება თუ არა ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდილი თანხა კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას;

კ) წარდგენილია თუ არა ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში უცხო ენაზე შეტანილი საბუთების თარგმანი.

16. ფორმალური ექსპერტიზის შედეგები და მასთან დაკავშირებული მიმოწერა

1. თუ განაცხადი და თანდართული მასალები აკმაყოფილებს კანონისა და ამ ინსტრუქციის მოთხოვნებს, ექსპერტიზას გამოაქვს გადაწყვეტილება განაცხადის განსახილველად მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის შესახებ და განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა №6-ს (იხ. დანართი №5).

2. თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) მიერ და დარღვეულია ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები, განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და წარმომადგენელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 2-ს (იხ. დანართი №6).

3. თუ განაცხადი ეხება კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას და განაცხადის შეტანიდან 1 თვის ვადაში არ არის წარდგენილი კოლექტიური ნიშნის დებულება, განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა №2-ს (იხ. დანართი №6).

4. თუ განაცხადის მასალები მოითხოვს დაზუსტებას, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება-მოთხოვნა – ფორმა 3-ს (იხ. დანართი №7), რომელშიც ზუსტად უნდა იყოს ჩამოთვლილი ყველა ის მოთხოვნა და შესწორება, რომელთა შესრულებაც აუცილებელია მოცემულ განაცხადზე ექსპერტიზის გასაგრძელებლად. განმცხადებელი ვალდებულია მისთვის შეტყობინება-მოთხოვნის ჩაბარების დღიდან 2 თვის ვადაში წარადგინოს წერილობითი პასუხი "საქპატენტში". განმცხადებელს უფლება აქვს ერთი თვით გააგრძელოს შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის წარდგენის ვადა, თუ წერილობითი თხოვნა ვადის გაგრძელების შესახებ

“საქპატენტში” წარდგენილი იქნება ზემოთ აღნიშნულ ორთვიან ვადაში და გადახდილი იქნება დადგენილი საფასური. შეტყობინება-მოთხოვნა იგზავნება, თუ:

ა) განაცხადი ეხება ერთზე მეტ სასაქონლო ნიშანს. განმცხადებელს ეძლევა წინადადება თითოეული სიმბოლოსათვის წარადგინოს დამოუკიდებელი განაცხადი. შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის წარდგენის თაობაზე ამ პუნქტში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და განმცხადებელს ეგზავნება ფორმა 2-ს (დანართი №6);

ბ) მოითხოვება ადრინდელი პრიორიტეტი, კერძოდ, საკონვენციო, საგამოფენო ან გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე და ასეთი პრიორიტეტის მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი დადგენილი წესით და/ან მისი მონაცემები განსხვავდება “საქპატენტში” შეტანილი განაცხადის მონაცემებისაგან, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება-მოთხოვნა – ფორმა 3-ს (იხ. დანართი №7). შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის წარდგენის ამ პუნქტში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში განმცხადებელი კარგავს ადრინდელი პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებას და პრიორიტეტი დადგინდება “საქპატენტში” განაცხადის შეტანის თარიღით;

გ) სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულების ეგზემპლარები არ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს და/ან განაცხადში მითითებული ფერი ან ფერთა კომბინაცია არ შეესაბამება ამ გამოსახულების ფერებს. შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის წარდგენის თაობაზე ამ პუნქტში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ექსპერტი ფერს ან ფერთა კომბინაციას განსაზღვრავს სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს შესაბამისად;

დ) არ არის წარდგენილი სიმბოლოს აღწერილობა ან წარდგენილი აღწერილობა მოითხოვს დაზუსტებას;

ე) წარდგენილი საქონლის ჩამონათვალი არ არის კლასიფიცირებული ან მოითხოვს დაზუსტებას ან საქონლის ჩამონათვლის წარდგენილი კლასიფიკაცია არ შეესაბამება საერთაშორისო კლასიფიკაციას;

ვ) ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასურის ოდენობა არ შეესაბამება განაცხადში მითითებული ან მიმოწერით დაზუსტებული საქონლის ჩამონათვალის კლასების რაოდენობისათვის დადგენილ თანხას. განმცხადებელს ეძლევა წინადადება შეავსოს გადახდილი საფასური დადგენილ ოდენობამდე ან მიუთითოს ის კლასები, რომლისთვისაც საკმარისი იქნება გადახდილი თანხა. შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის წარდგენის ამ პუნქტში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ექსპერტიზა ტარდება სიის მიხედვით პირველი იმდენი კლასისათვის, რამდენისათვისაც საკმარისია გადახდილი საფასური.

ზ) გაგზავნილი შეტყობინება-მოთხოვნის პასუხად მიღებული მასალა საჭიროებს დაზუსტებას.

17. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. განმცხადებელს უფლება აქვს გაასაჩივროს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილება, რისთვისაც მან გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში უნდა შეიტანოს საჩივარი სააპელაციო პალატაში და გადაიხადოს დადგენილი საფასური.

2. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თავი V

არსობრივი ექსპერტიზა

18. არსობრივი ექსპერტიზის საგანი

1. არსობრივი ექსპერტიზა ტარდება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრებიდან 6 თვის ვადაში, თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრებიდან 3 თვის ვადაში განმცხადებელი გადაიხდის არსობრივი ექსპერტიზისა და ექსპერტიზის

გადაწყვეტილების საფუძველზე განაცხადის მასალების გამოქვეყნებისათვის დადგენილ საფასურს.

2. თუ განმცხადებელი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრებიდან 3 თვის ვადაში არ გადაიხდის არსობრივი ექსპერტიზისა და ექსპერტიზის გადაწყვეტილების საფუძველზე განაცხადის მასალების გამოქვეყნებისათვის დადგენილ საფასურს, განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 10-ს (იხ. დანართი №2).

3. არსობრივი ექსპერტიზა შეიძლება შეჩერდეს:

ა) ადრინდელი პრიორიტეტის მქონე დაპირისპირებული სიმბოლოს რეგისტრაციაზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე;

ბ) განმცხადებლის მოთხოვნით ამ ინსტრუქციის მე-13 მუხლში მითითებული ვადით;

გ) მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ვადით;

დ) დაპირისპირებული ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებიდან 1 წლის გასვლამდე დარჩენილი ვადით, თუ არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტლების გამოტანის მომენტისათვის დაპირისპირებული ნიშანი გაუქმებულია;

ე) დაპირისპირებული სიმბოლოს განაცხადზე ფორმალური ექსპერტიზის გადაწყვეტილების ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლით გასაჩივრებისათვის დადგენილი სამთვიანი ვადის გასვლამდე ან, განმცხადებლის მიერ ფორმალური ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

4. არსობრივი ექსპერტიზის ეტაპზე ექსპერტი ამოწმებს, არსებობს თუ არა წარდგენილი სიმბოლოს რეგისტრაციაზე უარის ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლში მოცემული საფუძვლები.

5. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რეგისტრაციაზე უარის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ვ), ლ), მ), ნ), ო) პ) ან ჟ) ქვეპუნქტებში მოცემული საფუძვლები, წარდგენილი სიმბოლო უნდა შეუდარდეს პარიზის კონვენციის 6*ტერ* მუხლით დაცულ სიმბოლოებს, საქართველოში დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნებს ან ადგილწარმოშობის დასახელებებს,

საქართველოში დაცულ სამრეწველო ნიმუშებს, ეროვნული ან საერთაშორისო რეგისტრაციით საქართველოში დაცულ სასაქონლო ნიშნებსა და "საქპატენტში" სარეგისტრაციოდ წარდგენილ სიმბოლოებს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შედარების დროს სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის მათი აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის, შესაძლებლობა, რისთვისაც ექსპერტიზამ უნდა გაითვალისწინოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას.

19. არსობრივი ექსპერტიზის შედეგები და მასთან დაკავშირებული მიმოწერა

1. თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლში მოცემული საფუძვლები, ექსპერტიზას გამოაქვს გადაწყვეტილება წარდგენილი სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე განაცხადში მითითებული საქონლის მთლიანი ჩამონათვლის მიმართ და განმცხადებელს ეგზავნება ფორმა 8-ს (იხ. დანართი №8).

2. თუ არსებობს რეგისტრაციაზე უარის ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლში მოცემული რომელიმე საფუძველი, გარდა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ვ), ზ) და თ) ქვეპუნქტებში მითითებულისა, ექსპერტიზას გამოაქვს გადაწყვეტილება წარდგენილი სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე უარის შესახებ განაცხადში მოცემული საქონლის მთლიანი ჩამონათვლის მიმართ და განმცხადებელს ეგზავნება ფორმა 8-ს (იხ. დანართი №8).

3. თუ არსებობს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ო), პ) ან ჟ) ქვეპუნქტებში მოცემული რეგისტრაციაზე უარის საფუძველი განაცხადში მითითებული საქონლის ჩამონათვლის ნაწილის მიმართ, ექსპერტიზას გამოაქვს გადაწყვეტილება წარდგენილი სიმბოლოს რეგისტრაციის შესახებ საქონლის ჩამონათვლის დარჩენილი ნაწილის მიმართ და განმცხადებელს ეგზავნება ფორმა 8-ს (იხ. დანართი №8).

4. თუ არსებობს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ვ), ზ) ან თ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნებართვის მოთხოვნის საფუძველი ან განაცხადის მასალები მოითხოვს დაზუსტებას, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 7-ს (იხ. დანართი №9). განმცხადებელი ვალდებულია მისთვის შეტყობინების ჩაბარების დღიდან 2 თვის ვადაში წარადგინოს წერილობითი პასუხი "საქპატენტში". განმცხადებელს უფლება აქვს 1 თვით გააგრძელოს შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ვადა, თუ იგი წერილობით თხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ "საქპატენტში" წარადგენს ზემოთ აღნიშნულ ორთვიან ვადაში და გადაიხდის დადგენილ საფასურს. შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ამ პუნქტში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და განმცხადებელს ეგზავნება ფორმა 4-ს (იხ. დანართი №10).

20. გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე წარდგენილი ეროვნული განაცხადის ექსპერტიზა

1. თუ გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე "საქპატენტში" წარდგენილი განაცხადის შეტანის დღისათვის ამოწურულია მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადა და მიღებული არ არის გადაწყვეტილება დაცვაზე უარის შესახებ, სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება ამ ინსტრუქციის შესაბამისად არსობრივი ექსპერტიზისა და გამოქვეყნების გარეშე.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული განაცხადი წარდგენილი იქნა მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადის გასვლამდე, მისი არსობრივი ექსპერტიზა და რეგისტრაცია ხორციელდება ამ ინსტრუქციის მიხედვით.

21. საერთაშორისო განაცხადის არსობრივი ექსპერტიზა

1. საერთაშორისო განაცხადის არსობრივი ექსპერტიზა ტარდება მე-18 მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

2. საერთაშორისო განაცხადზე არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საერთაშორისო ბიუროში მისი რეგისტრაციის თარიღიდან მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში.

3. თუ არსებობს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ვ), ზ) ან თ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნებართვის მოთხოვნის საფუძველი ან განაცხადის მასალები მოითხოვს დაზუსტებას, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით. განმცხადებელი ვალდებულია მისთვის შეტყობინების ჩაბარების დღიდან 2 თვის ვადაში წარადგინოს წერილობითი პასუხი "საქპატენტში". განმცხადებელს უფლება აქვს 1 თვით გააგრძელოს შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ვადა, რისთვისაც წერილობითი თხოვნა ვადის გაგრძელების შესახებ მან "საქპატენტში" უნდა წარადგინოს ზემოთ აღნიშნულ ორთვიან ვადაში და გადაიხადოს დადგენილი საფასური. შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ამ პუნქტში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და განმცხადებელს ეგზავნება გადაწყვეტილება საქართველოში სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის შესახებ საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით.

4. თუ არსებობს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლში მოცემული რეგისტრაციაზე უარის რომელიმე საფუძველი, გარდა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ვ), ზ) ან თ) ქვეპუნქტებში მითითებულისა, ექსპერტიზას გამოაქვს გადაწყვეტილება წარდგენილი სიმბოლოს საქართველოში დაცვაზე უარის შესახებ განაცხადში მოცემული საქონლის მთლიანი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ და განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით.

5. თუ არ არსებობს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლში მოცემული რეგისტრაციაზე უარის საფუძვლები, ექსპერტიზას გამოაქვს გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის საქართველოში დაცვის შესახებ. ამასთან აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებელს არ ეგზავნება.

6. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ვადაში არ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება დაცვაზე უარის შესახებ, სასაქონლო ნიშანი საქართველოში დაცულად ითვლება.

22. არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო პალატაში

1. განმცხადებელს უფლება აქვს, გაასაჩივროს არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან 3 თვის ვადაში შეიტანოს საჩივარი სააპელაციო პალატაში, რისთვისაც უნდა გადაიხადოს დადგენილი საფასური. საფასურის გადახდის გარეშე საჩივარი მიღებულად არ ითვლება.

2. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თავი VI

გამოქვეყნება და გასაჩივრება

23. განაცხადის მონაცემების გამოქვეყნება

1. ექსპერტიზის ან ამ ინსტრუქციის 22-ე მუხლის შესაბამისად შეტანილ საჩივარზე სააპელაციო პალატის მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში განაცხადის მონაცემები ქვეყნდება სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომში ბიულეტენი).

2. ბიულეტენში ქვეყნდება:

ა) განაცხადის ნომერი;

ბ) განაცხადის შეტანის თარიღი;

გ) პირველი განაცხადის ნომერი;

დ) პირველი განაცხადის შეტანის თარიღი;

ე) პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის (უწყების) კოდი;

ვ) განმცხადებლის სახელი (დასახელება) და მისამართი;

ზ) სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულება;

თ) მითითებული ფერი ან ფერთა კომბინაცია;

ი) საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც მოითხოვება რეგისტრაცია.

3. სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემები ქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს ჟურნალში;

4. საერთაშორისო განაცხადით წარდგენილი სიმბოლოს საქართველოში დაცვის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთ თვეში ბიულეტენში ქვეყნდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით გამოქვეყნებული საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის ვადის გასვლის თარიღი.

24. დაინტერესებული პირების მიერ ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება

განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება სააპელაციო პალატაში. სააპელაციო პალატაში საჩივრის განხილვისათვის გადახდილი უნდა იქნეს დადგენილი საფასური. საფასურის გადახდის გარეშე საჩივარი მიღებულად არ ითვლება.

25. სასაქონლო ნიშნების რეესტრის მონაცემების გამოქვეყნება

1. თუ ამ ინსტრუქციის 23-ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულმა განაცხადის მონაცემებმა არ განიცადა ცვლილება საქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე, რეგისტრაციის დღიდან 1 თვეში ბიულეტენში ქვეყნდება მხოლოდ რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლის თარიღი, განაცხადის შეტანის თარიღი და ნომერი.

2. თუ ამ ინსტრუქციის 23-ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულმა განაცხადის მონაცემებმა განიცადა ცვლილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე, რეგისტრაციის დღიდან 1 თვეში ქვეყნდება რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრაციის მოქმედების გასვლის თარიღი, განაცხადის შეტანის თარიღი, განაცხადის ნომერი და განაცხადის ის მონაცემები, რომლებმაც განიცადა ცვლილება.

3. ამ ინსტრუქციის 27-ე და 28-ე მუხლის შესაბამისად რეესტრში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება მომდევნო ბიულეტენში.

თავი VII

სასაქონლო ნიშნების რეესტრი

26. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია

1. თუ ამ ინსტრუქციის 24-ე მუხლის შესაბამისად შეტანილ საჩივარზე სააპელაციო პალატა გამოიტანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ან თუ აღნიშნულ პუნქტში მითითებულ ვადაში არ იქნა შეტანილი ასეთი საჩივარი ან თუ სრულდება ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირობები, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 11 (იხ. დანართი №12) მოწმობის გაცემისა და 10 წლით რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შესახებ.

2. განმცხადებელმა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საფასური უნდა გადაიხადოს აღნიშნული შეტყობინების ჩაბარების დღიდან 3 თვის ვადაში.

3. თუ განმცხადებელი ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ვადაში არ გადაიხდის მოწმობის გაცემისა და 10 წლით რეგისტრაციის საფასურს, განაცხადი უქმდება და განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 10 (იხ. დანართი №2).

4. თუ განმცხადებელი მოწმობის გაცემისა და 10 წლით რეგისტრაციის დადგენილ საფასურს გადაიხდის ამ ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, "საქპატენტი" ახდენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას რეესტრში და აღნიშნული საფასურის გადახდის დღიდან 1 თვის ვადაში გასცემს მოწმობას სასაქონლო ნიშანზე.

5. რეესტრში შეიტანება:

ა) რეგისტრაციის ნომერი;

ბ) რეგისტრაციის თარიღი;

გ) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლის თარიღი;

დ) განაცხადის ნომერი;

ე) განაცხადის შეტანის თარიღი;

ვ) პირველი განაცხადის ნომერი;

ზ) პირველი განაცხადის შეტანის თარიღი;

თ) პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის (უწყების) კოდი;

ი) სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელი (დასახელება) და მისამართი;

კ) სასაქონლო ნიშნის გამოსახულება;

ლ) მითითებული ფერი ან ფერთა კომბინაცია;

მ) საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი;

ნ) წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) სახელი (დასახელება) და მისამართი;

ო) საკანცელარიო ნომერი;

პ) სასაქონლო ნიშნის არადაცვითუნარიანი ელემენტების ნუსხა.

27. ცვლილებების შეტანა რეესტრში

1. თუ მოხდა სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემა საქონლის მთელი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ, გადაცემის შესახებ წარდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე ხდება

შესაბამისი ცვლილებების შეტანა რეესტრსა და მოწმობაში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების გადაცემის ხელშეკრულება "საქპატენტს" წარედგინება წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) მიერ, ხელშეკრულებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს მფლობელის ან უფლებამონაცვლის მიერ გაცემული მინდობილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაცემის ხელშეკრულება მხედველობაში არ მიიღება.

2. თუ "საქპატენტი" სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემის შესახებ წარდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემამ შეიძლება მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას საქონლის ჩამონათვლის ნაწილის თვისების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, უფლებამონაცვლეს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 9-ს (იხ. დანართი №11), საქონლის ჩამონათვლიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე. "საქპატენტი" არ შეიტანს შესაბამის ცვლილებებს რეესტრსა და მოწმობაში, ვიდრე არ მიიღებს უფლებამონაცვლის თანხმობას ჩამონათვლიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემამ შეიძლება მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას საქონლის მთლიანი ჩამონათვლის თვისების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, "საქპატენტს" ცვლილებები რეესტრსა და მოწმობაში არ შეაქვს და უფლებამონაცვლეს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება – ფორმა 9-ს (იხ. დანართი №11).

3. თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა გასცა ლიცენზია სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე, სალიცენზიო ხელშეკრულება რეგისტრირდება და შესაბამისი მონაცემები შეიტანება რეესტრში, სალიცენზიო ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

4. თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი "საქპატენტში" შეიტანს განცხადებას 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის ი), კ), მ) და ნ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შესახებ, აღნიშნული ცვლილებები შედის რეესტრში ცვლილებების შეტანისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის კ) და მ) ქვეპუნქტებთან

დაკავშირებული ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება სასაქონლო ნიშნის უმნიშვნელო ცვლილება ან საქონლის ჩამონათვლის შემცირება.

5. თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი "საქპატენტში" შეიტანს განცხადებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ან სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების, ბათილად ცნობის ან აღდგენის შესახებ, "საქპატენტს" შესაბამისი ცვლილებები შეაქვს რეესტრში.

28. რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელება

1. სასაქონლო ნიშნის მფლობელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადას აგრძელებს "საქპატენტში" წარდგენილი განცხადების საფუძველზე რეგისტრაციის მოქმედების ვადის მომდევნო 10 წლით გაგრძელებისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. აღნიშნული განცხადების წარდგენა და საფასურის გადახდა უნდა მოხდეს რეგისტრაციის მოქმედების მეათე წლის ბოლო ექვსი თვის ვადაში.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური არ იქნა გადახდილი ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში, რეგისტრაციის მოქმედების ბოლო დღეს სასაქონლო ნიშნის მფლობელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 12 (იხ. დანართი №13), აღნიშნული საფასურის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 6 თვის ვადაში გადახდის მოთხოვნით.

3. თუ რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური არ იქნა გადახდილი ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ვადაში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უქმდება და სასაქონლო ნიშნის მფლობელს ეგზავნება შეტყობინება – ფორმა 13 (იხ. დანართი №14), რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

29. გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენა

1. რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლამდე სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით გაუქმებული რეგისტრაცია შეიძლება აღდგეს, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი რეგისტრაციის გაუქმების დღიდან 1 წლის ვადაში "საქპატენტში" შეიტანს თხოვნას რეგისტრაციის აღდგენის შესახებ და გადაიხდის რეგისტრაციის აღდგენისათვის დადგენილ საფასურს. რეგისტრაციის აღდგენა ხდება მხოლოდ გაუქმებული რეგისტრაციიდან დარჩენილი ვადით.

2. თუ რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური არ იქნა გადახდილი 28-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ექსთვიან ვადაში, გაუქმებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მომდევნო 6 თვეში მოითხოვოს აღნიშნული საფასურის გადახდის აღდგენა, რისთვისაც მას "საქპატენტში" შეაქვს შესაბამისი თხოვნა და იხდის ვადის აღდგენისა და მომდევნო 10 წლით რეგისტრაციისათვის დადგენილ საფასურს.

30. ინსტრუქციის ამოქმედება

ეს ინსტრუქცია ამოქმედდეს 1999 წლის პირველი სექტემბრიდან.